ოქმი:**ო63.63212582**
თარიღი:**15/09/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 43

ქ. სამტრედია. 15 სექტემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 15 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე, კამო კანდელაკი მ/შ. ხვიჩა ფანცულაია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ილია მჟავია და ლიზა კრავეიშვილი.

მოქალაქეები: აკაკი კომახიძე და ჯემალ რუხაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. კობა ძიძიგურის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა

სირბილაძემ ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, წერილობითი მომართვა. საკითხი ეხება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის, თანამდებობიდან გადაყენებას. (მომართვის საკრებულოში რეგისტრაციის N63-63212581 15/09/2021წ.).
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. კომისიის ერთობლივი გადაწყვეტილებით საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე, ვნახოთ რას გადაწყვეტს საკრებულო. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლის, ,,მე-4'' პუნქტის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადეგნილების, 112-ე მუხლის ,,1''-ლი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. კობა ძიძიგური გადაყენებულ იქნეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

2. განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N 38 186 განკარგულება.

ბატონო კობა პირადად ჩემთვის და ნებისმიერი საკრებულოს წევრისათვის ეს გადაწყვეტილება ნამდვილად არ არის სიხარულით მისაღები გადაწყვეტილება, ეს არც ისე მარტივია ჩვენთვის. მაგრამ არც ის მომიწონებია რა ფორმაშიც ზიხართ აქ. აი ამ ნიღბით აქ არ უნდა ბრძანდებოდეთ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ხართ წარმომადგენლობით ორგანოში. ჩვენი თქვენდამი დამოკიდებულების მიუხედავად ,თქვენ მიგვიყვანეთ ამ მდგომარეობამდე.
აზრი გამოთქვეს: კობა ძიძიგურმა, გიორგი ლეჟავამ, მერაბ უღრელიძემ, შალვა არზუმანიანმა, კამო კანდელაკმა, ხვიჩა ფანცულაიამ, რაჟდენ რორონჯაძემ, ლიზა კრავეიშვილმა, ილია მჟავიამ,
ნუგზარ ჯამბურიამ.
კობა ძიძიგურმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება. მიაჩნია, რომ მისი გადაწყვეტილება არის სწორი და სამართლიანი. ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის პოლიტიკური ზეწოლით გამოწვეული. მოუწოდა ბიუროს წევრებს, რომ არ გადაიკვეთოს მათი ხაზები და არ მიიღონ ეს გადაწყვეტილება.
რაც შეეხება სხვა გამომსვლელებს, მათი აზრით ისინი ერთი გუნდის წარმომადგენლები არიან, ეთანხმებიან გუნდის გადაწყვეტილებებს, მიზნებს და მიმართულებებს, პრინციპებს და მხარს უჭერენ საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებას და კომისიის გადაწყვეტილებას. თანხმობა გამოხატეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანასთან დაკავშირებით.
საკრებულოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაფასებ გუნდურობას, ვაფასებ იდეას, რომელიც აქამდე იყო ჩვენს შორის. ამ გადაწყვეტილებას ყველა თავისებურად შეაფასებს. მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ვთვლი, რომ გადაწყვეტილება მართებულია და საკითხი გადის საკრებულოს სხდომაზე. როდესაც სახელმწიფო სამსახურში

ხარ, თავისთავად ცხადია ყველა ჩვენი წარმომადგენელი ჩვენს პარტიას და პარტიის მიერ დასახულ ამოცანას, გეგმებს, იდეოლოგიას მივყვებით. ბატონო კობა, შეგახსენეთ და წაგაკითხეთ თქვენს მიერ ნათქვამი განცხადება ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე, რომლითაც მხარს უჭერდით ქართული ოცნების პარტიას და მის გადაწყვეტილებებს და რჩებოდით მის გვერდით. ჩვენს შორის არაერთხელ გაიმართა გულწრფერი დიალოგი და ყოველთვის იყო ჩემი თხოვნა, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში გადაწყვტილიყო. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემი ხელდასმით იყო თქვენი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა, იმიტომ რომ ჩვენ ურთიერთობა გვქონდა გავლილი მე-3 მოწვევის საკრებულოს პერიოდში. ჩემთვის თქვენი გადაწყვეტილება იყო მოულოდნელი და მიუღებელი, მაშინ როდესაც არჩევნებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა.

ბატონო კობა, გულწრფელად გეტყვით მადლობას გაწეული თანამშრომლობისათვის. მე თქვენ შემოგთავაზეთ ორი გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. თვენ აირჩიეთ ის გზა, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ სხვა არჩევანი გააკეთეთ და სხვა გზა აირჩიეთ მიმაჩნია, რომ ნებისმიერი არსებული თუ ახლად შექმნილი პარტია უნდა ზრუნავდეს ქვეყნის საკეთილდღეოდ. ქვეყანას 30 წლის განმავლობაში რა ბედიც ეწია კარგად მოგეხსენებათ. ჩვენ ერთად უნდა ვეძიოთ საერთო წერტილი მომავლის შენებისათვის. რაც შეეხება თქვენს ბრალდებას ზეწოლასთან დაკავშირებით, ხაზგასმით მოგახსენებთ, რომ არავითარი პოლიტიკური ზეწოლა ჩემს მიმართ არ განხორციელებულა. მე თავად ჩავთვალე, რომ ეს პროცესი უნდა დამთავრებულიყო. ვიყენებ კანონის შესაბამისად მონიჭებულ უფლებამოსილებას და ვღებულობ ამ გადაწყვეტილებას. თქვენ ოპოზიციურ პარტიის შტაბში განაგებთ თქვენს უფლებამოსილებას. ჩემთვის ეს მიუღებელია და ამიტომ შევთავაზე ჩემს კოლეგებს ჩემი გადაწყვეტილება. აღმოჩნდა, რომ ჩვენ სხვადასხვა პლათფორმაზე ვართ და სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები გაგვაჩნია, რაც მიუღებელია ჩემთვის, რამაც განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება.

საკრებულოს სხდომის ჩატარების თარიღს გადაწყვტს ბიურო და აუცილებლად შეგეხმიანებიან.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით, წინააღმდეგი 2 - რაჟდენ ტორონჯაძე, კობა ძიძიგური), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. კობა ძიძიგურის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

2. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2021 წლის

17 სექტემბერს, 12^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი